DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.006

ბოჩო შურღაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
bochoshurghaia@gmail.com

რუსული ჰიბრიდული ომი - აფხაზეთი 1992-1993

მიმდინარე ნაშრომში აფხაზეთის 1992–1993 წლების ომი განხილულია რუსული ჰიბრიდული ომის თეორიის მიხედვით და გამოყოფილია ის ჰიბრიდული ტაქტიკა და ადაპტირებული ელემენტები, რომლებსაც რუსეთის ფედერაცია იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე. ნაშრომის ფარგლებში ასევე მოვახდინეთ რუსეთის ჰიბრიდული ომის დეფრაგმენტაცია და მისი ისეთი ფაზებისა და ქვეკატეგორიების გამოყოფა, როგორებიცაა ჰიბრიდული ომის მოსამზადებელი და აქტიური ფაზები; არაპირდაპირი დახმარება და პირდაპირი სამხედრო მხარდაჭერა, რუსული რეგულარული და არარეგულარული ძალების ერთობლივი მოქმედებები, საინფორმაციო და პოლიტიკური ომის კატეგორიები.

საკვანძო სიტყვები: რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ, რუსული ჰიბრიდული ომი, აფხაზეთის ომი

ჰიბრიდული ომი უკანასკნელი წლების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებადი ტერმინია, რომელსაც იყენებენ როგორც პოლიტიკოსები, ასევე სამხედრო თეორეტიკოსები, უსაფრთხოების მკვლევრები და საზოგადოების ფართო ფენებიც კი. რუსულმა ჰიბრიდულმა ომმა მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო 2014 წლის 27 თებერვალს, როდესაც ყირიმის დედაქალაქ სიმფეროპოლში მწვანე უნიფორმაში გამოწყობილმა, ტყვიამფრქვევებითა და სნაიპერული შაშხანებით შეიარაღებულმა პირებმა ამოსაცნობი ნიშნების გარეშე დაიკავეს პარლამენტის შენობა და რუსეთის სა-

ხელმწიფო დროშა აღმართეს (Hahn 2018, 370). ამ მოვლენით დაიწყო რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავდა ადგილობრივი პრორუსი სეპარატისტების გააქტიურებას, რუსების მიერ აჯანყებულთათვის სამხედრო ტექნიკის მიწოდებას, საზღვართან განლაგებული რუსული საარტილერიო სისტემებიდან მასიურ საცეცხლე მხარდაჭერას, საბრძოლო სივრცეში რეგულარული და არარეგულარული ქვედანაყოფების მოქმედების ჰიბრიდულ ტაქტიკას და ა.შ. (Karber, 2015). საინტერესოა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში წარმოებული ომი სტრუქტურითა და ხასიათით მსგავსებას ავლენს 1992-1993 წლების აფხაზეთის ომთან როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე. შესაბამისად, მიმდინარე ნაშრომის ფარგლებში ვეცდებით, განვიხილოთ აფხაზეთის ომი რუსული ჰიბრიდული ომის თეორიის ჭრილში, გამოვყოთ რუსული მოქმედებების ფაზები და განვაანალიზოთ ისინი.

რა არის ჰიბრიდული ომი?

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დამყარებამ გააჩინა განცდა, რომ სახელმწიფოთა შორის დიდი კონვენციური ომები აღარ მოხდებოდა, შესაბამისად, სამხედრო მეცნიერებაში გაჩნდა მოთხოვნილება, შეექმნათ თეორიები მომავლის ომების შესახებ, რის შედეგადაც 90-იან წლებში ომის წარმოების მეთოდების შესახებ ისეთი ახალი თეორიები გაჩნდა, როგორებიცაა: "მეოთხე თაობის ომი", „შეუზღუდავი ომი", „დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი" და ა.შ. 2007 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების გადამდგარმა ოფიცერმა ფ. ჰოფმანმა წამოაყენა თეორია ჰიბრიდული ომების შესახებ, რომლის მიხედვითაც მომავლის ომებს წარმართავენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, რომლებიც პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ერთდროულად და ადაპტირებულად, ერთ საბრძოლო სივრცეში, გამოიყენებენ რეგულარულ და არარეგულარულ ძალებს, ასევე ტერორისტულ და კრიმინალურ მეთოდებს (Hoffman 2007, 8). შემდგომი მსჯელობებითა და ანალიზით ფ. ჰოფმანის ჰიბრიდული ომის თეორიამ ევოლუცია განიცადა და მას დაემატა მოქმედებები არასაბრძოლო სივრცეშიც, ანუ აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ინფორმაცია, პოლიტიკა, ეკონომიკა, ფინანსები, დიპლომატია, სოციალური ქსელები და სხვა. აღნიშნული ომის წარმოების მეთოდის კომპლექსურობისა და მრავალფეროვნების გამო მისი მოქმედება ხორციელდება რამდენიმე ეტაპად, რომელიც პირობითად იყოფა მოსამზადებელ, შეტევით და სტაბილიზაციის ფაზებად (Racz 2017, 57-64).

რუსეთის ჰიბრიდული ომი აფხაზეთში

აფხაზეთის ომის ჰიბრიდული კომპონენტის მოსამზადებელი

ფაზა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო სეპარატისტული მოძრაობის წახალისებით, რომელიც მოიცავდა ეთნო-ლინგვისტური განსხვავებულობის გაღრმავებას, ეთნიკური უმცირესობებისა და მათი საცხოვრებელი ტერიტორიის შესახებ ისტორიის გაყალბებას, სეპარატისტული მოძრაობის შექმნას და მათი ულტრანაციონალისტური გაერთიანებების დაარსებას. აფხაზეთის ისტორიის გაყალბების პირველი მცდელობები ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდში დაიწყეს, 1907 წელს, ნ. ვორონოვის ხელით, შემდეგ კი 20-იან წლებში გაგრძელდა ნესტორ ლაკობას თაოსნობით (პაპასკირი 2007, 160). აფხაზი ისტორიკოსების მიზანი იყო დაემტკიცებინათ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთადერთი აბორიგენი მოსახლეობა იყო აფხაზი და იქ ქართულ ელემენტს არასდროს უარსებია. შესაბამისად, ქართველი მეცნიერების მხრიდან ნებისმიერ საპირისპიროს ან ნეიტრალური მოსაზრების გაჟღერების შემთხვევაშიც კი, აფხაზეთში იწყებოდა აგრესიული ანტიქართული კამპანია, რომელიც მოსკოვის მიერ, სამეცნიერო აკადემიური აზრის საწინააღმდეგოდ, მუდამ აფხაზების სასარგებლოდ წყდებოდა, რაც კიდევ უფრო მეტად აქეზებდა მათ ულტრანაციონალისტური იდეების გავრცელებისა და სეპარატიზმის გაღვივებისკენ. მსგავსი მოტივებით აფხაზურ-ქართული დაპირისპირებები მოხდა 1956–57 წლებში, 1967 წელს და 1977 წელსაც. აღსანიშნავია, რომ ამ დაპირისპირებების დროს აფხაზური პოლიტიკური და აკადემიური ელიტა მოსკოვში აგზავნიდა საჩივრის წერილებს, სადაც ერთ-ერთ მოთხოვნად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ითხოვდნენ. აფხაზურ პოლიტიკურ მოთხოვნებზე კომუნისტური პარტიის ლიდერები მუდამ უარით ისტუმრებდნენ (პაპასკირი 2008, 156-185), თუმცა მოსკოვი აღნიშნული პოლიტიკური თამაშებით აჩვენებდა ქართულ მხარეს, რომ იგი ფლობდა აფხაზებზე ზემოქმედების ბერკეტებს და აფრთხილებდა, რომ ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი „ააფეთქებდა“ რეგიონს. შესაბამისად, როგორც კი ქართულმა დისიდენტურმა მოძრაობამ დაიწყო ანტისაბჭოთა მანიფესტაციების გამართვა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო აფხაზი სეპარატისტების გააქტიურება.

1988 წლის ნოემბერში სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საწინააღმდეგო მძლავრი აქციის შემდეგ, ქართული ეროვნული მოძრაობის „დასჯის მიზნით“, სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიქმნა ადგილობრივი ეროვნული მოძრაობების ოფიციალური ორგანიზაციები, „აფხაზეთის სახალხო ფორუმი - „აიდგილარა“ და „ადამონ ნიხასი“ (პაპასკირი 2007, 197). მალევე, „აიდგილარას“ მეცადინეობებით, 1989 წლის 18 მარტს, სოფელ ლიხნში, აფხაზებმა ჩაატარეს მრავალათასიანი თავყრილობა და გამოაქვეყნეს ცნობილი ლიხნის წერილი, რამაც ქართული საზოგადოების აღშფო-

თება გამოიწვია (ჯოჯუა 2009, 116). მოსკოვის მიერ ინსპირირებულმა დაძაბულობამ პიკს 1989 წლის ზაფხულში მიაღწია, როდესაც 15-16 ივლისს აფხაზური რადიკალური ჯგუფების მოქმედებებს ეთნიკური ქართველებში მსხვერპლი მოჰყვა (პაპასკირი 2007, 242-243).

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, 1989 წლის აგვისტოში, ჩამოყალიბდა ანტიქართული ორგანიზაცია, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, რომლის დედაქალაქადაც ქ. სოხუმი გამოცხადდა (პაპასკირი 2007, 25). ორგანიზაციამ, რომელიც, იდეაში, ანტირუსულიც უნდა ყოფილიყო, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა აფხაზეთის ომის მიმდინარეობაში.

ვ. არძინბას ინიციატივით ამავე პერიოდში შეიქმნა არალეგიტიმური სამხედრო შენაერთი - „აფხაზური გვარდია“, რომლის მებრძოლებმაც სამხედრო წვრთნები გაიარეს ქ. გროზნოში. აღნიშნული ქვედანაყოფი წარმოადგენდა აფხაზთა ლიდერების სეპარატისტული პოლიტიკის დასაყრდენს და სწორედ ამ ქვედანაყოფის მეომრებმა გაუხსნეს 1992 წლის აგვისტოში ცეცხლი ქართულ შენაერთებს და დაიწყეს ომი აფხაზეთში (Papaskiri & Kalichava 2021, 293). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა გამოვყოთ რუსული ჰიბრიდული ომის მოსამზადებელ ფაზის შემდეგი აქტივობები: აფხაზური/ოსური სეპარატიზმის წახალისება, ანტიქართული ნარატივის შექმნის ხელშეწყობა, ანტიქართული განწყობით გამორჩეული აფხაზი პოლიტიკოსების მხარდაჭერა, აფხაზეთში სამხედრო ბაზის შექმნა.

რუსული ჰიბრიდული ომის აქტიური ფაზა, რომელიც 1992 წლის აგვისტოში დაიწყო, შეიძლება დავყოთ სამ ქვეკატეგორიად: რუსების მიერ სეპარატისტებისთვის არაპირდაპირი სამხედრო დახმარება, სამხედრო ჩარევა და არასამხედრო მხარდაჭერა.

არაპირდაპირი სამხედრო დახმარება

აფხაზეთის ომის პირველივე დღიდან დაიწყეს რუსეთის ფედერაციის ოფიციალურმა პირებმა აფხაზი სეპარატისტების სამხედრო ტექნიკითა და ტყვია-წამლით მომარაგება. რუსეთის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკმა მათ გადასცა 267 პისტოლეტი, 18 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი ხელყუმბარა, 984 ავტომატი, ნახევარ მილიონამდე სხვადასხვა იარაღის ტყვია, სატვირთო მანქანები, სურსათი და სხვა (ყოლბაია და სხვები 1999, 208), გუდაუთის აეროდრომის მომარაგების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა დოლგოპოლოვმა კი – ექვსი ქვეითთა საბრძოლო მანქანა სრული კომპლექტით, 400-მდე ხელყუმბარა, 50,000-მდე ვაზნა და 6 ტყვიამფრქვევი (ნადარეიშვილი 2000, 56). 1992 წლის ოქტომბრისთვის, გაგრის აღების დროს, აფხაზებს და მათ მოკავშირეებს შეიარაღებაში უკვე ჰქონდათ T-72 და T-80 ტიპის ტანკები (Уригашвили 1992, 2), რასთან დაკავშირებითაც ედუარდ შევარდნაძემ 6 ოქტომბერს თბილისში გამართულ პრე-

სკონფერენციაზე ბრალი დასდო რუსულ გენერალიტეტს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში, მან აღნიშნა, რომ პირადად გენერლები, კონტრადიევი და სუნგუტკინი იყვნენ პასუხისმგებლები გაგრაში დატრიალებულ ტრაგედიაზე. ამავე პრესკონფერენციაზე საქართველოს პირველმა პირმა აღნიშნა, რომ აფხაზი ბოევიკების ხელში აღმოჩენილი T-72 და T-80 ტიპის ტანკები, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო საზენიტო დანადგარები ბევრ კითხვის ნიშნებს აჩენდა, რადგანაც მსგავსი შეიარაღება დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოსაც კი არ ჰქონდა, ხოლო გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის მეთაურების მიერ ქართველი მფრინავებისთვის საბრძოლო გაფრენების აკრძალვას, რუსების მიერ აფხაზეთის ომის ქართველთა საწინააღმდეგო ჩარევის კიდევ ერთ ფაქტად იშველიებდა. ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა შეშფოთება ასევე ბ. ელცინის გამონათქვამზე, რომ რუსეთი ყველანაირად ეცდებოდა, დაეცვა საქართველოში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა (Уригашвили 1992a). აღსანიშნავია, რომ რუსების მხრიდან აფხაზების სამხედრო დახმარებაზე წერდა ისეთი ნეიტრალური საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც Human right watch-ია, რომლის ანგარიშშიც ვკითხულობთ, რომ 1992 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში აფხაზებმა, რომლებიც თავიდან მსუბუქად იყვნენ შეიარაღებული, გამოიყენეს მძიმე არტილერია, ტანკები და იარაღი. შესაბამისად, იმ პირობებში, რომ აღნიშნული ტექნიკით მათ ქართველები არ მოამარაგებდნენ, ერთადერთ მომმარაგებელ წყაროდ ასახელებდნენ რუსებს (Human rights watch 1995, 30). 1993 წლის ოქტომბერში გაზეთ „იზვესწიაში“ გამოქვეყნდა ქართველთა მიერ დატყვევებული რუსი მოხალისის ინტერვიუ, რომლის სიტყვებითაც ირკვევა, რომ ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზია უსასყიდლოდ აძლევდა აფხაზურ მხარეს მრავალი სახის იარაღს. ასევე, მოსკოვში არსებობდა ორგანიზაცია, რომელსაც შეჰქონდა დიდი რაოდენობით იარაღი აფხაზეთში (Елигулашвили 1993, 8). ამავე გაზეთის მიხედვით, რუსეთმა სეპარატისტებს ჯამში გადასცა „72 ტანკი, 20 ჯავშანმანქანა, 12 საარტილერიო ერთეული, მათ შორის, „ურაგანისა“ და „გრადის“ ტიპის სარაკეტო დანადგარები (ჯოჯუა 2009, 187)“. სამხედრო ტექნიკით დახმარების გარდა, რუსები სეპარატისტებს ფინანსურ მხარდაჭერასაც უწევდნენ და კონფლიქტის პერიოდში მოსკოვის ბანკებმა აფხაზებს დაახლოებით 20 მილიარდამდე მანეთი გადაურიცხეს (ნადარეიშვილი 2000, 65).

აფხაზებისთვის სამხედრო ტექნიკით დახმარების ერთ-ერთ ფარულ მეთოდს წარმოადგენდა რუსული ჰუმანიტარული დახმარება. ტყვარჩელისთვის ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდების საფარქვეშ რუსები მუდმივად ახორციელებდნენ შეიარაღების საჰაერო გადაზიდვებს. მაგალითად, 1993 წლის ივლისის ტამიშის ოპერაციის წინ, მაისიდან მოყოლებული, რუსული MI-8 ტიპის 7-8 ვერტმფრენს ყოველდღიურად გადაჰქონდა ტვირთი ტყვარჩელის მიმართულებით. 16

ივნისს კი ალყაშემორტყმულ ტყვარჩელში, 30 „კამაზის“ ტიპის მანქანითა და 3 ავტობუსით, შეიტანეს დიდი რაოდენობით შეიარაღება (ყოლბაია და სხვები 1999, 149). აღსანიშნავია, რომ სეპარატისტების მომარაგების მსგავს მეთოდებს რუსები იყენებდნენ უკრაინაშიც, როდესაც რამდენიმე ათეული სატვირთო ავტომობილით შეჰქონდათ დონბასსა და ლუგანსკში რუსული იარაღი (Snegovaya 2015, 8).

აღსანიშნავია, რუსეთი აფხაზეთის ომის მსვლელობისას იყენებდა „უარყოფის ტაქტიკას“ და რუსეთის ოფიციალური პირები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ მათ არ გაუციათ სანქცია აფხაზების სამხედრო ტექნიკით მომარაგებაზე, შესაბამისად, აფხაზთა შეიარაღებაში არსებული ტექნიკა წარმოადგენდა ან ქართული ქვედანაყოფებისგან ბრძოლით მოპოვებულ ალაფს, ან რუსული სამხედრო ბაზების ძარცვის შედეგს (Karber 2015, 25). უნდა აღინიშნოს, რომ პუტინის რუსეთის წარმომადგენლები 2014 წლის უკრაინის მოვლენების დროსაც, ბრალდებებზე, რომ ისინი ამარაგებდნენ უკრაინელ სეპარატისტებს, ზუსტად იმავეს პასუხობდნენ, რომ სეპარატისტებმა იარაღი უკრაინული სამხედრო ბაზების ძარცვითა და უკრაინელი სამხედროებისგან საბრძოლო ნადავლის სახით მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განცხადებების გამყარების მიზნით, რუსები კონფლიქტის საწყის ეტაპზე უკრაინელ ამბოხებულებს ამარაგებდნენ ისეთი ტექნიკით, რომელიც უკრაინულ სამხედროებსაც ჰქონდათ შეიარაღებაში და მხოლოდ უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციების წარმატების შემდეგ, დამარცხების თავიდან ასარიდებლად დაიწყეს უკრაინელებისთვის რუსული უახლესი ტექნიკის მიწოდება (Karber 2015, 26). ზუსტად იგივე მოხდა აფხაზეთის შემთხვევაშიც, როდესაც ქართველებმა ომის საწყის ეტაპზევე შეძლეს სოხუმის დაკავება და ქართულ-რუსულ საზღვარზე კონტროლის დამყარება, რითაც პრაქტიკულად გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს აფხაზები, რუსებმა დაიწყეს სეპარატისტებისათვის მძიმე ტექნიკის გადაცემა, შედეგად კი, 1993 წლის ოქტომბერში, აფხაზებმა წარმატებით დაიკავეს ქ. გაგრა, ლესელიძე, განთიადი და დადგნენ მდინარე ფსოუზე (Papaskiri & Kalichava 2021, 301).

რუსულ არაპირდაპირ სამხედრო დახმარებად შეგვიძლია გამოვყოთ ასევე რუსების მიერ აფხაზური ქვედანაყოფების წვრთნა როგორც ქ. ფსკოვში არსებულ სამხედრო ბაზაზე (ყარყარაშვილი 1992), ასევე სოფელ ჭლოუში, რუსების მიერ დაარსებულ სასწავლო ცენტრში (ყოლბაია და სხვები 1999, 134).

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ომის მთელი პერიოდის განმავლობაში რუსეთი აქტიურად ამარაგებდა სეპარატისტებს სხვადასხვა სახის იარაღით, მძიმე ტექნიკითა და ტყვია-წამლით, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა კონფლიქტის აფხაზური მხარის სასარგებლოდ დასრულებაში. თუმცა, რუსების მიერ აფხაზებისთვის შეიარაღების გადაცემა, სამხედრო ინსტრუქტორების გაგზავნა და

საწვრთნელი ცენტრების გახსნა, აღნიშნულ კონფლიქტს არ ხდის რუსულ ჰიბრიდულ ომად, რადგანაც მსგავსი მეთოდით ხდება ე.წ. „proxy“ ომების წარმოება, რაც არ წარმოადგენს სიახლეს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ზუსტად ასე ამარაგებდნენ საბჭოელები ვიეტნამელებს ომის დროს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები კი ავღანელებს 80-იან წლებში. შესაბამისად, როცა ვსაუბრობთ აფხაზეთის ომში რუსულ ჰიბრიდულ ჩარევაზე, ზემოხსენებულ არა-პირდაპირ მხარდაჭერასთან ერთად, ასევე ვითვალისწინებთ კონფლიქტის პერიოდში რუსული სამხედრო ძალების მიერ აფხაზ არარეგულარულ ძალებთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ დონეზე. ასევე, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას და კონფლიქტში მოხალისეებად მონაწილე რუსეთის მოქალაქეებს.

რუსი მოხალისეები აფხაზეთის ომში

მოხალისეები აფხაზთა მხარეს ომის საწყის ეტაპზევე გამოჩნდნენ, როდესაც 1992 წლის 21 აგვისტოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ ომი გამოუცხადა საქართველოს და მისმა მებრძოლებმა კავკასიის უღელტეხილების გამოყენებით მასიურად დაიწყეს აფხაზეთში გადასვლა (გასვიანი, გ. & გასვიანი, თ. 2005, 172-173). აფხაზთა მხარეს ჩრდილოეთ კავკასიელებთან ერთად ომში მონაწილეობდნენ ასევე თურქეთის მოქალაქე აფხაზები (ნადარეიშვილი 2000, 110), დნესტრისპირეთელი მოხალისეები (შამუგია 2018), კაზაკები და სხვა ეთნიკური რუსებიც (Zverev 1996, 3). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა კონფლიქტში დაახლოებით 30,000-მდე რუსეთის მოქალაქე მონაწილეობდა მოქირავნედ (Яков 1993, 3). მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მოქმედებებში მოქირავნედ მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას წარმოადგენდა და დაქირავებული სამხედრო მოსამსახურე ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას ექვემდებარებოდა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები სხვადასხვა მოტივაციით ერთვებოდნენ კონფლიქტებში, რაც გარკვეულ დიპლომატიურ პრობლემებს უქმნიდა რუსეთს. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით წერდა რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთი „იზვესწიე“, სადაც აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით მონაწილეობა საომარ მოქმედებებში პრობლემას უქმნიდა სახელმწიფოს, რადგანაც ეს რუსეთის ფედერაციას წარმოაჩენდა როგორც კონფლიქტში მონაწილე მესამე მხარეს, თუმცა ამაზე სახელისუფლებო წრეები რეაგირებას არ ახდენდნენ და შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომ პირიქით, მათი წახალისებითაც კი ხდებოდა ეს ყველაფერი. მოხალისეების შეკრებისა და აფხაზეთში გადასროლის ერთ-ერთ

ორგანიზატორად გვევლინებოდა რუსეთის ულტრამემარჯვენე ნაციონალ-პატრიოტული პარტია, რომელიც დაკომპლექტებული იყო რუსეთის იმპერიის აღდგენის მომხრე შოვინისტი მოქალაქეებისგან. პარტიას შექმნილი ჰქონდა რამდენიმე ათასკაციანი გასამხედროებული დაჯგუფებაც, რომლის წევრებიც აქტიურად მონაწილეობდნენ პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში (Яков 1993, 3). აღსანიშნავია ასევე რუსეთის საპარლამენტო ოპოზიცია, ე.წ „წითელ-ყავისფრები" (კომუნისტებისა და ნაციონალისტების ალიანსი), რომელიც მხარს უჭერდა აფხაზ სეპარატისტებს (Уригашвили 1992b) და მათ სასარგებლოდ არაერთხელ გააკეთა მხარდამჭერი განცხადება. სავარაუდოდ, სწორედ ამ სახელისუფლებო შტოებზე წერდა Human right watch, როდესაც აცხადებდა, რომ აფხაზეთის ომში მონაწილე რუსი მებრძოლების შეკრების ორგანიზებას, შეიარაღებასა და კონფლიქტის რაიონში გადასროლას რუსეთის ოფიციალური უწყებები კურირებდნენ (Human right watch 1995, 50).

რუსული სამხედრო მხარდაჭერა

აფხაზეთის ომის დროს რუსეთის შეიარაღებული ძალები აფხაზი სეპარატისტების მხარდამჭერ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდნენ, ზოგჯერ კი მათთან ერთად მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებშიც. პირველი ჩარევა კონფლიქტში რუსების რეგულარული ჯარის ნაწილების მიერ მოხდა 1992 წლის 29 აგვისტოს, როდესაც ქართულმა შენაერთებმა, 600 მებრძოლით, 3 ტანკითა და 6 ქვეითთა საბრძოლო მანქანით გაარღვიეს ფრონტის ხაზი, გადალახეს მდინარე გუმისთა და დაიკავეს რამდენიმე სტრატეგიული სიმაღლე. მიღწეული წარმატების შემდგომი განვრცობის მიზნით გუდაუთის მიმართულებით დაწყებულ შეტევას კი წინ აღუდგნენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც სახმელეთო და საჰაერო კომპონენტის სინქრონული მოქმედებების შედეგად მოახდინეს ქართველთა შეტევის ბლოკირება. შედეგად გარდაიცვალა 40 სამხედრო მოსამსახურე, განადგურდა სამივე ტანკი და 4 ჯავშანტრანსპორტიორი (ჯოჯუა 2017, 151). რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარის მოსამსახურეები მონაწილეობდნენ ასევე 1993 წლის ივლისის ტამიშის ოპერაციისას, დაახლოებით 300-500 მებრძოლი (ყოლბაია და სხვები 1999, 150), რომელთაგანაც ნაწილს საბუთები ისე ჰქონდა გაფორმებული, თითქოს შვებულებაში იყო (თოფურია 2021). აღსანიშნავია, რომ ზუსტად იმავე პრინციპით მონაწილეობდნენ დონბას-ლუგანსკში რუსი სამხედროები, რათა შემდგომში რუსეთის დიპლომატიას თავი ემართლებინა, რომ შვებულებაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის აქტივობას ვერ აკონტროლებდა თავდაცვის სამინისტრო (Means of Russia Hybrid warfare 2017, 25).

სახმელეთო ჯარებთან ერთად აფხაზეთის კონფლიქტში აქტიურად იღებდა მონაწილეობას რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, რომ-

ლებიც ძირითადად სამ ამოცანას ასრულებდნენ: 1. ბლოკავდნენ ქართული დესანტის გადასხმას აფხაზთა ზურგში, როგორც ეს ქნეს 1992 წლის ოქტომბერში, გაგრის ოპერაციისას (ყოლბაია და სხვები 1999, 208); 2. ქართველთა ზურგში გადაჰყავდათ აფხაზური დესანტი, მაგალითად, 1992 წლის 17 მარტის საბრძოლო მოქმედებებისას სცადეს სოხუმში დესანტის გადასხმა (მელაშვილი 2019, 100), ხოლო ტამიშის ოპერაციისას, 1993 წლის 2 ივლისს, ეს წარმატებით განახორციელეს (თოფურია 2021); 3. სამხედრო დახმარება შეჰქონდათ ზღვით ქ. გუდაუთაში (ჯოჯუა 2009, 173-174).

რუსების მიერ აფხაზეთის ომში ეფექტიანობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი როლი ეკუთვნოდა სამხედრო-საჰაერო ძალების აქტიურობას, რომელთა ბაზა განლაგებული იყო ქალაქ გუდაუთაში. ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში რუსეთის ხელისუფლებამ გასცა სანქცია, რომ ქართველთა მხრიდან ცეცხლის გახსნის შემთხვევაში ცეცხლითვე ეპასუხათ რუს სამხედროებს (Human right watch 1995, 28). მაშინ, როცა აღნიშნულ ლაბორატორიის სიახლოვეს იყო განლაგებული აფხაზური ის მძიმე არტილერია, რომელიც ქ. სოხუმს ბომბავდა, აღნიშნული ბრძანება ქართული მხარისთვის პრობლემას წარმოადგენდა, რადგანაც არ ეძლეოდა რუსების მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნის შიშით აფხაზური პოზიციების საარტილერიო და საჰაერო დამუშავების საშუალება. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა არაერთხელ მიიტანეს იერიში ქართულ პოზიციებზე, მათ შორის ბომბავდნენ ქ. სოხუმის საცხოვრებელ კორპუსებსაც. მოვიყვანთ ქართული და უცხოური მხარის მიერ დაფიქსირებულ გახმაურებულ შემთხვევებს:

1992 წლის 15 ნოემბერს დაიბომბა მდინარე გუმისთის ფრონტის პოზიციები; 18 ნოემბერს - დასახლებული პუნქტი კელასური; 2 დეკემბერს - ქ. სოხუმი; 5 დეკემბერს - მდინარე გუმისთის პოზიციები; 9 დეკემბერს - ქ. სოხუმი; 10 დეკემბერს - სოფელი ახალდაბა; 1993 წლის 12 მარტს დაიბომბა სოფელი ცაგერა; 13 მარტს - გუმისთის ფრონტი (ყოლბაია და სხვები 1999, 132-146).

ცალკე აღნიშვნის ღირსია 1993 წლის თებერვალში განვითარებული მოვლენები, როდესაც 20 თებერვალს რუსულმა Su-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბომბეს ქალაქი სოხუმი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქართულმა მხარემ გამოხატა პროტესტი და ჩაშლის პირას დადგა ქართულ-რუსული მოლაპარაკებებიც. რუსული მხარე თავდაპირველად უარყოფდა აღნიშნულ დაბომბვაში მონაწილეობას, ერთი პირობა ისიც კი თქვეს, რომ ეს ოპერაცია მთიელ ხალხთა კონფედერაციის თვითმფრინავებმა განახორციელეს (Таранов & Уригашвили 1993, 1), თუმცა საბოლოოდ იძულებულები გახდნენ ეღიარებინათ, რომ აღნიშნული დაბომბვა განახორციელეს რუსმა მფრინავებმა, ქართველთა მოქმედებების გამო შურისძიების მიზნით (Human right watch 1995, 36). აღსანიშნავია, რომ რუსული სა-

მხედრო-საჰაერო აპარატები მოქმედებდნენ არა მხოლოდ სახმელეთო სამიზნეების წინააღმდეგ, არამედ ქართველი მფრინავების წინააღმდეგაც. გუდაუთის სამხედრო-საჰაერო ბაზის მოსამსახურეებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რომლის თანახმადაც, ქ. გუდაუთის 70კმ-იან რადიუსში გაენადგურებინათ ქართული მფრინავი საშუალებები (ნადარეიშვილი 2000, 117). შესაბამისად, 1993 წლის 1 მაისს, როდესაც 2 ერთეული ქართული Su-25 ცდილობდა გუმისთის ფრონტზე განლაგებული აფხაზური საარტილერიო ობიექტების განადგურებას, რუსულმა Su-27-მა ჩამოაგდო ერთი მათგანი, მეორე კი იძულებული გახდა, საბრძოლო ამოცანა არ შეესრულებინა და დაბრუნებულიყო ბაზაზე (ყოლბაია და სხვები 1999, 146). აფხაზურ პოზიციებს ქართველი მფრინავებისგან იცავდნენ არა მხოლოდ რუსული გამანადგურებლები, არამედ რუსეთის საჰაერო თავდაცვის კომპლექსებიც, რომლებმაც კონფლიქტის დაწყებისთანავე შექმნეს თავდაცვის ორი ოპერატიული რაიონი, ერთი გუდაუთის საჰაერო სივრცეს იცავდა, მეორე კი მდინარე გუმისთის ფრონტს (ჯოჯუა 2017, 147).

აფხაზური მხარის სასარგებლოდ მოქმედებდნენ ასევე რუსული სპეცსამსახურები, რომელთა აგენტები ჯაშუშობდნენ სეპარატისტების სასარგებლოდ. მაგალითად, 1993 წლის 31 მარტს სოხუმში აგენტურული დივერსიის განხორციელების დროს დააკავეს ლეიტენანტი ა. სიტნიკოვი (ნადარეიშვილი 2000, 54). 1 აპრილს კი მისი ბედი გაიზიარა „რუსეთის სამხედრო ნაწილის N2011 რადისტ-სერჟანტ ა.ო ლუნინმა, რომელსაც აგრეთვე სოხუმში წაასწრეს ფაქტზე (ყოლბაია და სხვები 199, 208). რუსული სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ ასევე 1993 წლის სექტემბერში სოხუმზე განხორციელებული გადამწყვეტი შტურმის დროს, როგორც ე.წ. „შოკური ძალა“ (ყოლბაია და სხვები 1999, 210).

საინფორმაციო ომი

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ფარგლებში აქტიურად იყვნენ ჩართულები რუსული პრესა და ტელევიზია, მაგალითად, აფხაზეთში პირველი გასროლიდან მეორე დღესვე რუსეთის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ვ. არძინბას 1992 წლის 14 აგვისტოს გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც იგი იმეორებდა წინასწარ შემუშავებულ ნარატივს, ქართველი მხარის აგრესორობის შესახებ, რომელიც თავის გზაზე ანადგურებს ყველაფერს და ა.შ. (ჩერგონაია 1994, 176-177).

აფხაზეთის კონფლიქტში რუსული საინფორმაციო ომი ძირითადად გამოვლენილი იყო ზემოაღნიშნული ე.წ. უარყოფის ტაქტიკით. რუსეთის თავდაცვის მინისტრი იგორ გრაჩევი, ქართველთა ბრალდებებზე, რომ რუსული სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები ბომბავდნენ ქართულ პოზიციებს და ქალაქებს, საჯაროდ აცხა-

დებდა, რომ ქართველები თავად ბომბავდნენ თავიანთ მოსახლეობას (human right watch 1995, 36). რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მონაწილეობის ფაქტი ოფიციალურად დადასტურდა 1993 წლის 19 მარტს, როდესაც სოფელ შრომასთან ჩამოვარდა რუსული Su-27, რომელსაც მართავდა მაიორი ვ. შიპკო. დამდგარი ფაქტის შემთხვევაშიც კი რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, თავის მართლების მიზნით, რუსულ მედიაში გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც ადასტურებდა, რომ თვითმფრინავი მართლა ბომბორას აეროდრომიდან აფრინდა, თუმცა უარყოფდა ფაქტს იმის შესახებ, რომ ის ქ. სოხუმის დაბომბვას აპირებდა. რუსების მტკიცებით, Su-27, რომელიც Su-25-ისგან განსხვავებით, გამანადგურებელია და არა მოიერიშე, განკუთვნილია საჰაერო აპარატების განადგურებისათვის. შესაბამისად, მაიორი ვ. შიპკო ჰაერში აფრინდა თბილისიდან სოხუმისკენ გაფრენილი ორი ერთეული Su-25-ის განადგურების მიზნით, რომელთა ამოცანა იყო ქ. სოხუმის დაბომბვა და ინციდენტის კვლავ რუსებისთვის დაბრალება (Бурбыга & Литовкин 1993, 5).

საინფორმაციო ომი მიმდინარეობდა ასევე ბეჭდურ მედიასა და სატელევიზიო სივრცეშიც, მაგალითად, 1992 წლის ოქტომბერში, რუსეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება, სადაც ქართულ მხარეს ადანაშაულებდა 1992 წლის მოსკოვის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაში, რამაც გამოიწვია აფხაზების მიერ ქ. გაგრაზე იერიში და გაგრის ტრაგედია (Вооруженный конфликт в Абхазии, 1992, 1). აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურის მოადგილის, გენერალ ლეიტენანტ ს. ბეპაევის ინტერვიუ, სადაც იგი აცხადებდა, რომ ქართულმა მხარემ ზედმიწევნით კარგად შეასრულა აღნიშნული შეთანხმება (Уригашвили 1992, 3). გენერალ-ლეიტენანტის მტკიცებითვე, 1992 წლის ოქტომბრის მოვლენების დროს საქართველო გახდა „პოლიტიკური მზაკვრობის მსხვერპლი (Бесконтрольное оружие целит в общество 1992, 3).

პოლიტიკური ზეწოლა

რუსული ანტიქართული საინფორმაციო ომი, პოლიტიკური ომთან სინქრონში მუშაობდა რუსეთის საპარლამენტო ტრიბუნიდანაც. 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის სათათბიროში, ანტიქართული განწყობებით გამორჩეული დეპუტატის, სერგეი ბაბურინის ინიციატივით შედგა დახურული სხდომა (გასვიანი, გ & გასვიანი, თ 2005, 175). ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც უმაღლესმა საბჭომ დაგმო მოსკოვის შეთანხმება და გაემიჯნა მას. დეპუტატები ითხოვდნენ ქართული ქვედანაყოფების სრულ გაყვანას აფხაზეთის ტერიტორიიდან და ადანაშაულებდნენ ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთის პრობლემის ძალადობრივი გადაწყვეტის მცდელობაში. რუსეთის ფედერაციის

მთავრობას კი მოუწოდებდნენ, შეეჩერებინათ საქართველოსთვის ხელშეკრულებით გაფორმებული ვალდებულებების შესრულება, აღარ მიეწოდებინათ კუთვნილი სამხედრო ტექნიკა, გაეწყვიტათ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ. (პაპასკირი 2007, 381-382). აფხაზი სეპარატისტების მხარდამჭერი ეს განცხადებები და დადგენილებები გახდა მიზეზი ქ. გაგრაში დატრიალებული ტრაგედიისა და არა ქართული მხარის მიერ შეთანხმების „შეუსრულებლობა“.

საქართველოს წინააღმდეგ მკაცრი სანქციების მოთხოვნით რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ კვლავ არაერთგზის მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას. 1992 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით, დეპუტატები მოუწოდებდნენ ბ. ელცინს შეესრულებინა 1992 წლის 25 სექტემბრის უზენაესი საბჭოს დადგენილება. 1993 წლის 20 აპრილს კი ეროვნებათა საბჭოს დადგენილებით, გამოთქვამდნენ თანხმობას, აფხაზეთი მიეღოთ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ან მფარველობაში (პაპასკირი 2007, 390; 396-397).

რუსეთის პოლიტიკური ელიტის როლი და რუსული ჰიბრიდული მოქმედებების ბუნება კარგად ჩანს 1992 წელს ცხინვალის კონფლიქტის დროს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტის მოქმედებებზე. 2019 წლის 5 სექტემბერს მიცემულ ინტერვიუში, ალექსანდრე რუცკოი, გადამდგარი ავიაციის გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი, დეტალურად აღწერს, თუ როგორ აიძულა ედუარდ შევარდნაძე ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისთვის. მისი სიტყვებით, მან შესთავაზა რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს, სამხედრო თვითმფრინავების აერო-ფოტო გადაღებით მოეპოვებინათ სადაზვერვო ინფორმაცია ქართველთა საარტილერიო პოზიციების შესახებ და საჭირო დროს სამხედრო-საჰაერო ძალების საშუალებებით დაებომბათ ისინი, რაზეც ბ. ელცინისგან თავდაპირველად უარი მიიღო, თუმცა შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი დათანხმდა. რამდენიმე დღეში მართლაც დაბომბეს ქართველთა პოზიციები, ხოლო ე. შევარდნაძეს სატელეფონო საუბარში ა. რუცკოი დაემუქრა, რომ თუ ხელს არ მოაწერდა ხელშეკრულებას, თბილისსაც დაბომბავდა (Руцкой 2019). აფხაზეთის ომის ისტორია ცხადყოფს, რომ რუსები მსგავსი მეთოდებით მოქმედებდნენ კონფლიქტის მთელი პერიოდის განმავლობაში, ახორციელებდნენ რა მდინარე გუმისთაზე ქართველთა პოზიციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, შემდეგ კი ბომბავდნენ მათ. ა. რუცკოი, რომელიც აფხაზეთის ომის დროსაც ვიცე პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა, სავსებით შესაძლებელია, რომ იგივე მეთოდებით მოქმედებდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის საავიაციო წარსულს და ავტორიტეტს, რომლითაც სარგებლობდა რუს სამხედროებში, მაშინ აფხაზეთის ომის დროს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებები საიდან იმართებოდა, სრულიად გასაგები ხდება.

საინფორმაციო ომის ფარგლებში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ აფხაზ სეპარატისტებს საჯაროდ, სატელევიზიო გადაცემებსა და ინტერვიუებში, ბრალს სდებდნენ ქართველებს აფხაზთა გენოციდში, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაში, ადამიანის უფლებების დარღვევაში და იმუქრებოდნენ რუსების სამხედრო ინტერვენციით (Руцкой 1993).

რუსეთის მიერ აფხაზეთის ომის დროს განხორციელებული მოქმედებების განხილვის შესაბამისად, რუსული ჰიბრიდული ომის აქტიური ფაზა გამოიყურება შემდეგნაირად:

აქტიური ფაზა

1. არაპირდაპირი სამხედრო დახმარება: მოხალისეების გაწვევის პუნქტების შექმნა, მოხალისეთა წვრთნის უზრუნველყოფა და მათი აფხაზეთის რეგიონში გადასროლის ორგანიზება; სეპარატისტების იარაღითა და სხვა სამხედრო ტექნიკით მომარაგება; აფხაზებისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენა; გენერალური შტაბის მიერ აფხაზური სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა; სეპარატისტების საწვრთნელი ცენტრების გახსნა და მათი გადამზადება.

2. არასამხედრო კომპონენტი: ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნა; ადგილობრივი მედიასაშუალებების ნაწილობრივი კონტროლი; საინფორმაციო ომის, დეზინფორმაციის კამპანიის წარმოება საქართველოს წინააღმდეგ, ანტიქართული ნარატივის გავრცელება როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე რუსეთში; საქართველოს წარმოჩენა აგრესორად, ქართველების დადანაშაულება გენოციდში/ეთნიკურ წმენდაში; საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური შანტაჟი, ეკონომიკური და სხვა სახის სანქციებით მუქარა; სეპარატისტების სასარგებლო პოლიტიკური განცხადებების გაკეთება როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების მიერ; რუსეთის აფხაზების მხარეს ჩართულობის უარყოფა; სეპარატისტი ლიდერების მიღებები და კონსულტაციები; სეპარატისტების სასარგებლო სამშვიდობო და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებების დადება.

3. სამხედრო კომპონენტი: რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზების სასარგებლოდ მოქმედება: სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ქართველთა პოზიციებისა და საცხოვრებელი სახლების დაბომბვა; საზღვაო ძალების მიერ აფხაზთა ოპერაციებში მონაწილეობა, დესანტის გადასხმა ქართველთა ზურგში, საზღვაო აკვატორიის ქართველებისთვის შეზღუდვა; რუსი რეგულარული ძალების ნაწილებისა და სპეციალური ოპერაციების მებრძოლების მონაწილეობა სეპარატისტების მხარეს.

რა იყო რუსული ჰიბრიდული ომის მიზანი აფხაზეთში? როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერიის აღდგენის მომხრე ე.წ. „წითელ-ყავისფერი“ ულტრანაციონალისტები ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა

კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხი აუცილებლად დადგებოდა დღის წესრიგში (აღნიშნულზე აფხაზეთის ომის დროსაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რუსეთსა და საქართველოს შორის), რისი შესრულებაც მათ აუცილებლად მოუწევდათ. სამხრეთ კავკასიაში რუსული სამხედრო ძალის არარსებობა კი, ნაციონალისტების აზრით, ემუქრებოდა რუსეთის უსაფრთხოებას და ეწინააღმდეგებოდა მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, რომელიც დაიწყებდა სვლას ევროატლანტიკური სივრცისკენ (რაც არაერთგზის იყო გაცხადებული დისიდენტური მოძრაობის მიერ) და შექმნიდა დემოკრატიულ სახელმწიფოს, რუსი ფაშისტებისთვის მიუღებელი იყო, შესაბამისად, მათ უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ახლადწარმოქმნილი ქართული სახელმწიფო ყოფილიყო სუსტი, ძალა, რომელთანაც არ ითანამშრომლებდნენ დასავლური სახელმწიფოები, ხოლო იქ რუსული სამხედრო ბაზებისა და გაყინული კონფლიქტების არსებობა მისცემდა რუსეთს იმის გარანტიას, რომ მის სამხრეთ საზღვრებთან NATO არასდროს იქნებოდა წარმოდგენილი. შესაბამისად, რუსული ჰიბრიდული ომის სტაბილიზაციის ფაზა წარმოგვიდგენია შემდეგნაირად:

სტაბილიზაციის ფაზა: კონფლიქტის გაყინვა, რუსი სამშვიდობოების ჩაყენება აფხაზეთში; გაყინული კონფლიქტების არსებობით ქვეყნისთვის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის ხელის შეშლა; არალეგიტიმური ხელისუფლებების მხარდაჭერა, დაფინანსება და სამხედრო ბაზების დაარსება.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ომში სახეზე გვქონდა კლასიკური ჰიბრიდული ომი, გამოხატული როგორც რუსული რეგულარული და აფხაზურ/რუსული არარეგულარული ძალების ერთობლივი მოქმედებებით, ასევე საინფორმაციო ომით, გაუარესებული კრიმინოგენური ვითარებით და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ჰიბრიდული ომის სამხედრო კულტურა იმდენადაა რუსულ სამხედრო აზროვნებაში გამჯდარი, რომ მაშინ, როცა 1991-93 წლებში რუსეთში ცენტრალური ხელისუფლება იყო სუსტი და ჰყავდა ძლიერი საპარლამენტო ოპოზიცია, რუსეთის ხელისუფლების გარკვეული შტოები, დეცენტრალიზებულად ახერხებდნენ აფხაზეთში ომის მსგავსი მეთოდით წარმოებას, განსხვავებით უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა, როდესაც რუსეთი ცენტრალიზებულად მოქმედებდა და ჰიბრიდულ ომისთვის სახელმწიფოს რესურსებს იყენებდა მაქსიმალურად. აფხაზეთის ომი წარმოადგენს თანამედროვე რუსული ჰიბრიდული ომის პროტოტიპს, ომის, რომელიც არ არის ერთგვაროვანი, ცვლადია დროსა და სივრცეში, თუმცა ძირითადი ხაზი მაინც საერთოა და განსხვავება მხოლოდ შესრულების დონეებშია და ტექნიკურ საშუალებებში.

დამოწმებანი

გასვიანი, გერონტი. გასვიანი, თორნიკე. 2005. აფხაზეთის ომი. თბილისი: ენა და კულტურა.

მელაშვილი, იაგო. 2019. თეთრი არწივის საარტილერიო დივიზიონი. თბილისი: ბერიკა.

https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/325317 (05.10.2021)

ნადარეიშვილი, თამაზ. 2000. შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი: პირველი სტამბა.

თოფურია, თეა. 2021. ტამიშის ბრძოლა, მოულოდნელი დესანტის პირისპირ. რადიო თავისუფლება, ივლისი 10, 2021.

https://www.radiotavisupleba.ge/a/31352123.html (05.10.2021)

პაპასკირი, ზურაბ. 2007. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა.

ყარყარაშვილი, გიორგი. 1992. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მთელი ცხოვრება უნდა ვიბრძოლოთ. დროება 30 ოქტომბერი, 1992.

ყოლბაია, ვახტანგ. გელანტია, რაფაელ. ლაცუზბაია, დავით. ქახრაკია, თეიმურაზ. 1999. აფხაზეთის ლაბირინთი. თბილისი: არხატის სტამბა.

შამუგია, ვახტანგ. 2018. დნესტრისპირელი მოხალისეები აფხაზეთში. თბილისი: სპეკალი. http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/126 (05.10.2021)

ჩერგონაია, სვეტლანა. 1994. აფხაზეთი - 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა. რუსულიდან თარგმნა თინათინ მიქელაძემ. თბილისი: ჯისიაი.

ჯოჯუა, დაზმირ. 2009. აფხაზეთი 1938-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბილისი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯოჯუა, დაზმირ. 2017. რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში. აფხაზეთის, საქართველო, ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები, რედაქტორი გამახარია, ჯემალ. თბილისი.

Hahn M, Gordon. 2018. Ukraine over the Edge Russia, the West and the “New Cold War”. North Carolina: McFarland & Company. Kindle.

Hoffman, Frank. 2007. Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars. Virginia: Potomac institute for policy studies.

https://www.potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_

hybridwar_0108.pdf (05.10.2021)

Human rights watch arms project. 1995. Georgia/Abkhazia: violations of the laws of war and Russias role in the conflict. Washington: Human rights watch.

https://www.justice.gov/sites/default/files/eoir/legacy/2013/06/14/georgia_0395.pdf (05.10.2021)

Karber, Phillip A. 2015. Lessons Learned from the Russo-Ukrainian War. Potomac foundation.

https://www.researchgate.net/publication/316122469_Karber_RUS-UKR_War_Lessons_Learned (05.10.2021)

Means of Russia Hybrid warfare against Ukraine. 2017. Kiev: National defense university of Ukraine.

Papaskiri, Zurab and Kalichava, kakhaber. 2021. Fratricidal conflict in Abkhazia of 1992-1993 and its consequences. Why Abkhazia is Georgia, edited by Zurab Papaskiri. Tbilisi: Sokhumi state University.

Racz, Andras. 2017. Russia's Hybrid war in Ukraine, Breaking the Enemy's Ability to Resist. Helsinki: The finish Institute of International Affairs.

Snegovaya, Maria. 2015. Putin's information warfare in Ukrine, Soviet origins of Russia's hybrid warfare. Washington: Institute for the Study of War.

Zverev, Aleksei. 1996. Ethnic Conflicts in the Caucasus 1988-1994. In the Contested Borders in the Caucasus edited by Bruno Coppieters.

http://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/ch0101.htm (05.10.2021)

Бесконтрольное оружие целит в общество. 1992. Известия, Октябр 16, 1992.

Бурбыга, Николай и Литовкин, Виктор. 1993. МАЙОР ШИПКО НЕ БОМБИЛ СУХУМИ. Известия, март 23, 1993.

Вооруженный конфликт в Абхазии: обращение правительства России. 1992. Известия, Октябр 13, 1992.

Елигулашвили, Михаил. 1993. Боевые Соратники откровенничают. Известия, Октябр 5, 1993.

Руцкой, Александр. 2019. Интервью бывшего вице-президента РоссииАлександра Руцкого о событиях в Южной Осетии. https://www.youtube.com/watch?v=MHffujyDdiA (05.10.2021)

Руцкой, Александр. 1993. Вице-президент РФ А. Руцкой угрожает Грузии.

https://www.youtube.com/watch?v=lLKV-r7muRU (05.10.2021)

Таранов, Сергей и Уригашвили, Бесик. 1993. БОМБАРДИРОВКА СУХУМИ РЕЗКО ОСЛОЖНИЛА ОТНОШЕНИЯ РОССИИ С ГРУЗИЕЙ. Известия, Февраль 23, 1993

Уригашвили, Бесик. 1992 a. Вечером 6 октября в Тбилиси состоялась пресс-конференция Э. Шеварднадзе. Известия, Октябр 7, 1992.

Уригашвили, Бесик. 1992 b. Политический компромисс обернулся для Грузии военным поражением в Гаграх. Известия, Октябр 5, 1992.

Яков, Валерий. 1993. “Дикие гуси” России, Вечер с наемником. Известия, март 24, 1993.